ვეფხვია ჩალაბაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

აშშ-ს გეოსტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მრავალმხრივი და ყოვლისმომცველია. ამერიკულ საგანმანათლებლო და დიპლომატიურ წრეებში ეს შესაძლებლობები განსაზღვრულია „DIME" აკრონიმით, რაც „Diplomatic, Informational, Military and Economic" ნიშნავს. ესაა ის საშუალება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ამა თუ იმ ქვეყანაზე თავისი საერთაშორისო გეგმების განსახორციელებლად იყენებს და ამის შედეგად თავისთვის სასარგებლო და სასურველ მიზნებს აღწევს [1, 25].

უფრო ნათელი რომ გახდეს, თუ რას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების გეოსტრატეგიული მიზნები სამხრეთ კავკასიაში, შევეცდები DIME-ის კრიტერიუმების საფუძველზე გავაანალიზო და ჩამოვაყალიბო სათანადო დასკვნები.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლამ და ამ სივრცეში სუვერენული სახელმწიფოების გაჩენამ მსოფლიო პოლიტიკური რუკის კორექტირება გამოიწვია, რასაც შესაბამისად მოჰყვა გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და მათ შორის სამხრეთ კავკასიაშიც. ამ რეგიონში, ძირითადად, ორი უძლიერესი სახელმწიფოს აშშ-სა და რუსეთის ინტერესთა კვეთაა, თუმცა, ირანსაც და თურქეთსაც აქვთ სურვილი თავიანთი გავლენა იქონიონ, მაგრამ ამ ეტაპზე ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი არიან დაპირისპირებულნი, რომლებიც განუხრელად მიისწრაფვიან, რათა სამხრეთი კავკასია თავიანთი ინტერესის სფეროში მოაქციონ. ეს დაპირის-

პირება დღესაც გრძელდება. ვინაიდან რეგიონის სამი ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო), გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ძირითად ქვეყნად მაინც საქართველო მოიაზრება, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რა კუთხით განვითარდება ეს დაპირისპირება და რას მოუტანს ის საქართველოს. ამისათვის საჭიროა გამოვიკვლიოთ ზესახელმწიფოების ინტერესები რეგიონში და შესაბამისად, მოქნილად ვაწარმოოთ ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რათა მათი ინტერესების სფეროში მოხვდეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორებიც და ამ შემთხვევაში აშშ-ს ინტერესებთან თანხვედრაში ვპოვოთ რეალური განვითარება.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ენერგო მატარებლების გადაკვეთისა და გეოპოლიტიკური ინტერესების გზაგასაყარზე აღმოჩნდნენ. ამის გამო, რეგიონი და აქ არსებული სამივე სახელმწიფო განუწყვეტლივ განიცდის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური თუ სამხედრო გაერთიანებების გავლენებს. ამ მდგომარეობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ინტერესები თანხვედრაში იყოს აშშ-ს გეოსტრატეგიულ ინტერესებთან და მათთან ერთად შევძლოთ ამ ინტერესების განხორციელება, რადგანაც ისეთი აგრესიული და არაადეკვატური მეზობლის გვერდით, როგორიც რუსეთი და მისი გავლენების არეალია, საქართველო უძლური იქნება მარტომ გაატაროს თავისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია გააზრებული და შესწავლილი იქნას ყველა სავარაუდო საფრთხე: (D) „მართალია, თბილისი დღეს ინარჩუნებს ახლო საგარეო-პოლიტიკურ კავშირს დასავლეთთან, ხოლო ბოლო პერიოდში აშშ-თან თავდაცვითი თანამშრომლობის მხრივ იმედისმომცემი პროცესები მიმდინარეობს, რუსული საფრთხე ძალიან სერიოზულია“ [2, 1].

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების პირველი წახნაგები საქართველოს დამოუკიდებლობიდან არც თუ ისე მალე გამოიკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მაშინდელმა

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუში უფროსმა თავისი გადაწყვეტილებით საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაიწყო 1992 წლის მარტიდან: (D) „დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა 1992 წლის 24 მარტს, როდესაც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უფროსმა გადაწყვეტილების შესახებ განცხადება გააკეთა პრესისათვის" და მისი ადმინისტრაცია კონცენტრირებული იყო ბალტიისპირეთისა და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების ბედზე, მათ სამხედრო ალიანსში და ევროკავშირში გაწევრიანებაზე და სამხრეთ კავკასია მაშინვე არ მოხვდა მათი ყურადღების ცენტრში. საქართველომ დასავლეთისკენ სწრაფვის, ევროპული ღირებებულების მისწრაფებისა და დემოკრატიისკენ ურთულესი გზის გავლითა და მოკავშირეებისთვის საერთაშორისო მშვიდობის დასაცავად წვლილის შეტანის პერიოდში მოიპოვა საერთაშორისო ინტერესი და რეგიონისთვის საკვანძო ქვეყნის იმიჯის მფლობელიც გახდა: (M) „შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად 1992 წელს აღიარა, თუმცა, თავდაცვის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება 2001 სექტემბრიდან იღებს სათავეს, როდესაც საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდა" [3, 502-503].

საქართველოს ჩართვამ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ქართველი სამხედროების პროფესიონალურმა, გმირულმა და ხშირ შემთხვევებში თავგანწირულმა ქმედებებმა მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობაში აქტიური როლი ითამაშა. გაფართოვდა თანამშრომლობის არეალი და ძლიერმა სახელმწიფოებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი ქართული შეიარაღებული ძალების განვითარებისთვის ზრუნვას. ამ საქმეშიც მედროშედ აშშ მოგვევლინა და პირველი ნაბიჯიც საკმაოდ ამბიციური გახლდათ: (M) „2002 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით დაიწყო საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (GTEP)" [4, 1].

სამხრეთ კავკასიაში ამერიკის ინტერესების გააქტიურებასთან ერთად განგაშის სიგნალი ჩართო რუსეთმაც და მთე-

ლი ძალით აამუშავა პროპაგანდისტული მანქანა. საქართველო ისტორიულად დაუმორჩილებელი რესპუბლიკა იყო და რუსეთი მხოლოდ სამხედრო ძალითა და ტერიტორიების ოკუპაციით არ დაკმაყოფილდა. მან „რბილი ძალის" ყველა ელემენტი აამოქმედა. დღესაც ადვილად შეიძლება რუსული ჰიბრიდული ომის კვალის შემჩნევა საქართველოში ბევრი მიმართულებით, თუმცა, დემოკრატია და ის ღირებულებები რაც დემოკრატიას ახლავს თან, იმდენად ძლიერია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გამარჯვება სიმართლის მხარეს იქნება. აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების სფეროში არის, აგრეთვე, (E) ბაქო-სუფსა ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, აგრეთვე, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. ეს ენერგომატარებლები და მათი უსაფრთხოება ემთხვევა ჩვენი და აშშ-ს ინტერესებს და ამ კუთხით ბევრი საერთო ინტერესი ხორციელდება. ქართული სამხედრო ძალების სიძლიერესთან ერთად, ენერგო მატარებლების უსაფრთხოება ძლიერ რგოლს ქმნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, თუმცა, უსაფრთხოების კუთხითა და იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს დღეის მდგომარეობით ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებული აქვს, კიდევ მეტი გვაქვს გასაკეთებელი უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამყარების უზრუნველსაყოფად. ამის ერთ-ერთი გარანტია კი ნატოში გაწევრიანებაა, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთი: „რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ტელეკომპანია Fox News-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებაზე უკიდურესად ნეგატიური რეაქცია ექნება" [5, 1]. ამდენად, საფრთხე კვლავ რეალური რჩება და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომაც რუსეთის რიტორიკა აგრესიული და არაადეკვატურია.

საქართველომ უნდა გააგრძელოს დასავლური და ევროატლანტიკური პოლიტიკის გზა, დემოკრატიული განვითარება და მასთან ერთად ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება

ერთადერთი და უალტერნატივო გზაა ქვეყნის განვითარებისთვის. ეს გზა უფრო რეალურია, როდესაც ჩვენი ინტერესები რეგიონში ამერიკის ინტერესებთანაა თანხვედრაში. ამასთან, უფრო სიღრმისეულად გვმართებს ამერიკის ინტერესების შესწავლა, რათა მეტად გავიგოთ, კიდევ რა ინტერესები შეიძლება ჰქონდეს ამერიკას ჩვენს რეგიონში. გარდა რუსეთთან დაპირისპირებისა, აშშ-ს ურთიერთობები გართულებული აქვს ირანთან, რომელსაც, ასევე, თავისი ამბიცია გააჩნია სამხრეთ კავკასიაში და ეს აშკარად არაერთხელ გამოჩნდა. ირანთან დაპირისპირების, მის წინააღმდეგ სანქციების ეფექტიან განხორციელებასა და ირანისთვის თავისუფალი სივრცის შეზღუდვაშიც საქართველო მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამ კუთხით, საქართველომ ძალიან სკრუპულოზურად უნდა იმოქმედოს და ჩვენი დიპლომატიური კორპუსის წყალობით დღემდე ჩვენ ამას ვახერხებთ. თუნდაც იმ პირობებში, რომ ჩვენ აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი ვართ, ირანთან ჩვენი ურთიერთობა მაინც კეთილმეზობლურია: (D) 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოსთვის ემბარგოს დაწესებისა და ბუნებრივი გაზის მოწოდების შეწყვეტის შემდეგ, ირანმა უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი გაზით მომარაგება, რაც იმის უტყუარი დასტურია, რომ დიპლომატიური არხები აქტიურად და ნაყოფიერად ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას.

ამერიკის შეერთებული შტატები სომხეთთან და აზერბაიჯანთანაც ჩართულია ყველა სახის თანამშრომლობაში, ამ ქვეყნებთანაც აწარმოებს იგივე მიდგომებს და ცდილობს დაეხმაროს მათ დამოუკიდებლობის განმტკიცების, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებისა და დასავლეთის საერთო პოლიტიკური ჭრილისკენ მათ წარმართვას, თუმცა, კვლავ რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე, ყველაფერი ისე არ ხორციელდება როგორც აშშ-ს გეგმებს შეესაბამება. ბოლო დროს თურქეთმაც გააკეთა ამბიციური განაცხადი სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის განსახორციელებლად. უნდა ითქვას, რომ ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც, ვგულისხმობ, ყარაბაღში განვითარებულ

ბოლო მოვლენებს: „ყარაბაღში რუსულ-თურქული სამშვიდობო ცენტრის მშენებლობა დაიწყო. ცენტრი ძალიან მალე დაიწყებს ფუნქციონირებას“ [6, 1-2]. რუსულ-თურქული თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი გამოწვევაა აშშ-სთვის და უფრო მეტი ძალისხმევა დასჭირდება ამ მდგომარეობის სათავისოდ შემოსაბრუნებლად.

აშშ ევროპასთან ერთად აქტიურად ახორციელებს ინფორმაციულ მხარდაჭერასაც, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე და მის შემდეგ განხორციელებულ კიბერ თავდასხმებში მოკავშირეების მხარდაჭერით საქართველომ დროულად შეძლო სამთავრობო კავშირებისა და ქსელების სრული აღდგენა, მაგრამ 2019 წელს ისევ განხორციელდა საქართველოზე კიბერ შეტევა, რის შემდეგაც აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს: „თბილისი/ლონდონი (როიტერსი) – (I) დიდი ბრიტანეთი და აშშ შეუერთდნენ საქართველოს ბრალდებას და დაგმეს რუსეთი გასული წლის ფართომასშტაბიან კიბერ თავდასხმაში, რამაც გამოიწვია ათასობით ქართული ვებ-საიტების გათიშვა და ჩაახშო ეროვნული ტელევიზიების მაუწყებლობა“ [7, 1].

საერთო ჯამში, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხრეთ კავკასიაში წარმოებული გეოსტრატეგიული ქმედებები სამივე ქვეყნის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით უფრო თვალნათელი რომ იყოს, ამის აღსაქმელად უპრიანი იქნება ისევ აშშ-ს ოფიციალური სტატისტიკა მოვიშველიოთ: (E) „იმპორტი: აშშ-დან 2019 წელს ამერიკული ნაწარმი სომხეთში $55 მილიონი; აზერბაიჯანში $26 მილიონი; საქართველოში $153 მილიონი“ [8, 1]. და სამხრეთ კავკასიიდან განხორციელებული ექსპორტი აშშ-ში: „2019 წელს განხორციელებული ექსპორტი აშშ-ში – სომხეთი $53 მილიონი; აზერბაიჯანი $374 მილიონი; საქართველო $769 მილიონი“ [9, 1]. მოცემული ეკონომიკური სურათიდანაც ნათლად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები და მისი ჩართულობა, როგორც მთლიანად რეგიონში, ასევე, სამივე ქვეყანასთან მიმართებით. ჩემი

შეფასებით, ეს ეკონომიკური მაჩვენებლები პირდაპირპროპორციულია სამივე ქვეყნის აშშ-სთან ურთიერთთანამშრომლობის ხარისხზე და, აგრეთვე, ვთვლი, რომ საქართველოში არსებული დემოკრატიის ხარისხი არის ტოლი ჩვენი ინტენსიური ურთიერთობისა აშშ-სთან.

როგორც შესავალში აღვნიშნე, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა „DIME"-ის განზომილებით ნათლად წარმოაჩენს სამხრეთ კავკასიაში მის ინტერესებს დაახლოებით შემდეგი თანმიმდევრობით:

- დემოკრატია და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება (D)
- ეკონომიკური კეთილდღეობა (E)
- საერთაშორისო ენერგომატარებლების ფუნქციონირება და უსაფრთხოება (M, E)
- შავი ზღვის უსაფრთხოება, ღრმაწყლიანი პორტის არსებობა (D, I, E, M)
- რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერა ალიანსისკენ სწრაფვაში (D, M, E)
- რუსეთის ინტერესების შესუსტება, დემოკრატიის გაძლიერებით (D, E, I, M)
- ირანის სიახლოვეს სტრატეგიული მოკავშირეების ყოლა (D, E, I, M)
- ანტიტერორიზმი (D, E, M, I)

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, მიუხედავად რუსეთის ფედერაციის დიდი და ყოველმხრივი წინააღმდეგობისა, უნდა ეყოთ გონიერება, ძალა და გამბედაობა და მხარი აუბან აშშ-ს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს, რათა შეძლონ იმ კრიზისიდან გამოსვლა, რომელშიც ახლა თითოეული მათგანი და ასევე, ყველა ერთად იმყოფება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩრდილოეთი შეამცირებს, ან შეწყვეტს არსებულ ზეწოლას, თუმცა, რეგიონის განვითარებისა და წინსვლის ერთადერთ პერსპექტივად, დღეის მდგომარეობით, სამხრეთ კავკასიას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Aftergood St., Strategy: Directing the Instruments of National Power, https://fas.org/blogs/secrecy/2018/04/strategy-jcs/; Joint Doctrine Note 1-18, Strategy, 25. April 2018.

2. ბატიაშვილი დ., ამერიკის სტრატეგია და საქართველო, რონდელის ბლოგი, 05. 01. 2018. https://www.gfsis.org (ნანახია: 03. 05. 2021)

3. Public Papers of the Presidents of the United States George Bush (in Two Books), Washington, 1993.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თანამშრომლობა აშშ-თან. https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan (ნანახია: 03.05.2021)

5. იმედინიუსი, პოლიტიკა, 17 ივლისი, 2018. https://imedinews.ge/ge/politika/70458/saqartveloshi-natoshi-gatsevrianebis-shesakheb-putinis-gantskhadebaze-shepasebebi-gaketda (ნანახია: 03.05.2021)

6. ამერიკის ხმა, ახალი ამბები, 12/02/2020 https://www.amerikiskhma.com/a/construction-of-nagorno-karabakh-casefire-monitoring-centre-has-begun-turkey/5684392.html (ნანახია: 03.05.2021)

7. Margarita Antidze, Reuters, Georgia, backed by U.S. and Britain, blames Russia for 'paralyzing' cyber-attack." FEB 20. 2020.
https://www.reuters.com/article/us-georgia-cyber-idUSKBN20E1W3

8. Office of the United States Trade Representative, Caucasus Region. https://ustr.gov/countries-regions/europe-middle-east/russia-and-eurasia/caucasus-region (ნანახია: 03. 05. 2021)

9. Office of the United States Trade Representative, Caucasus Region. https://ustr.gov/countries-regions/europe-middle-east/russia-and-eurasia/caucasus-region (ნანახია: 03. 05. 2021)

Vepkhvia Chalabashvili

Georgian Technical University, Doctoral student of the Faculty of Law and International Relations

Geostrategic Interests of the USA in South Caucasus

Summary

The subject of the author's research is the US Geostrategic goals in the South Caucasus. It focuses on the United States package of Diplomatic, Informational, Military and Economic capabilities, so-called „DIME", the study of the criteria of which leads to the following correct conclusion.

The US foreign policy dimension of DIME reflects its interests in the South Caucasus in approximately the following order: Democracy and state institution development D, Information (dissemination) I, International energy operators and their security, Black Sea security, Safe environment Creation M, Existence of deepwater port, Functioning of energy carriers, Economic prosperity E.

These dimensions are so closely intertwined and often tied together, that it is difficult to separate them, for example supporting countries in the region in their quest for an alliance D, M, E, weakening Russia's interests, strengthening democracy D, E, I, M, having strategic allies near Iran, D, E, I, M, counter-terrorism D, E, M, I.

According to the author, the countries of the South Caucasus, despite the great and comprehensive resistance of the Russian Federation, must have the wisdom, strength and courage to support these vital US interests to emerge from the crisis in which each one of them is now. In his view, this does not mean that the North will reduce or end the existing pressure, however, the only prospect for the development and advancement of the region as of today is that the South Caucasus has no alternative but the West.